

შეტყობინება მეორე

სიღრმისეული ზრდა ეკლესიისა მისი ორგანული გადიდებისათვის

ადგილები წერილიდან: კოლ. 2:19; ეფეს. 4:13, 15-16; 1 კორ. 3:6-7; 12:12;
იოანე 3:29-30ა, 34

- I. სიღრმისეული ზრდა, ორგანული ზრდა, ეკლესიის არის ზრდა ღვთაებრივ
სიცოცხლეში, რაც არის გამზადებული და დამრიგებელი სამერთიანი ღმერთი –
ეფეს. 4:15-16, 3:16-17; 2 კორ. 13:14:
- ა. ეკლესია იზრდება ამ სიცოცხლეში, ამ სიცოცხლის მეშვეობით, ამ
სიცოცხლით, და ამ სიცოცხლის შედეგად, ჩვენ დავიბადეთ ღვთაებრივი
სიცოცხლისაგან, რომელიც არის თვითონ ღმერთი, და ახლა ღმერთი
გვზრდის ჩვენ – იოანე 1:12-13; 1 კორ. 3:6გ:
 - ბ. კოლოსელთა 2:19-ში საუბარია სხეულის ზრდაზე, რაც არის ღმერთის
ზრდა ჩვენში:
 1. გაზრდა ნიშნავს ქრისტეს დამატებას ჩვენში – 1 კორ. 3:6-7; გალ. 4:19.
 2. სხეულის ზრდა დამოკიდებულია იმაზე, რაც გამოდის ქრისტედან,
როგორც თავიდან – ეფეს. 4:15-16:
 - ა) როდესაც სხეული დებულობს შეწევნას თავზე ჩაჭიდების
მეშვეობით, სხეული იზრდება ღმერთის ზრდით – კოლ. 2:19.
 - ბ) სხეული იზრდება თავიდან, რადგან მთელი შეწევნა გამოდის
თავიდან – ეფეს. 4:15-16.
 3. სხეულის ზრდა დამოკიდებულია ღმერთის ზრდაზე, ღმერთის
დამატებაზე, ღმერთის გადიდებაზე, ჩვენში – კოლ. 2:19:
 - ა) ღმერთი არ იზრდება თავის თავში, რადგან ის არის სრული და
სრულყოფილი; ის იზდება ჩვენში.
 - ბ) ღმერთი გვაძლევს ზრდას თავისი თავის მოცემის მეშვეობით
ჩვენთვის სუბიექტურად.
 - გ) რაც უფრო მეტი ღმერთი გვემატება ჩვენ, უფრო მეტ ზრდას
გვაძლევს ის ჩვენ; ეს არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც
ღმერთი გვაძლევს ზრდას – 1 კორ. 3:6-7.
 - დ) მხოლოდ ღმერთს შეუძლია მოგვცეს ზრდა; მხოლოდ ღმერთს
შეუძლია მოგვცეს თავისი თავი, და მის გარეშე ჩვენ ვერ
გავიზრდებით – მუხ. 6-7:
 - 1) ღმერთის დამატება ჩვენში არის ის ზრდა, რომელსაც ის
გვაძლევს.
 - 2) ის, რომ ღმერთი გვაძლევს ზრდას სინამდვილეში ნიშნავს,
რომ ის გვაძლევს ჩვენ თავის თავს – რომ. 8:11.
 - 3) ის, რომ ღმერთი გვაძლევს ჩვენ ზრდას სიცოცხლეში
ნიშნავს, რომ ის ადიდებს თავის თავს ჩვენში.

4. ის, თუ რამდენად იზრდება დმერთი ჩვენში დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენ ადგილს ვაძლევთ ჩვენ მას, რომ გაიზარდოს – ეფეს. 3:17ა; კოდ. 3:16:
- ა) როდესაც ჩვენ ვაძლევთ დმერთს ადგილს ჩვენში, ის ვრცელდება და იზრდება ჩვენში, ეს გადიდება არის მისი ზრდა ჩვენში.
 - ბ) დმერთის ზრდა ჩვენში ხდება ჩვენი ზრდა, რადგან ის და ჩვენ ვართ ერთი – 1 კორ. 6:17.
5. ეკლესის ზრდა როგორც ქრისტეს სხეულის არის დმერთის ზრდა ეკლესიაში – კოდ. 2:19.
- ბ. ეკლესია იზრდება სანამ ის არ მიაღწევს სიმწიფეს – „ქრისტეს სისავსის ზრდის ზომას“ – ეფეს. 4:13:
1. ქრისტეს აქვს სისავსე, სისავსეს აქვს ზრდა, ხოლო ზრდას აქვს ზომა.
 2. ქრისტეს სხეული არის მისი სისავსე, მისი გამოხატულება – 1:23:
 - ა) ქრისტე, რომელიც არის უსასრულო დმერთი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, არის ისეთი დიადი, რომ ის ავსებს ყოველივეს ყოველივეში.
 - ბ) ასეთ დიად ქრისტეს სჭირდება ეკლესია, რათა იყოს მისი სისავსე მისი სრული გამოხატულებისათვის – მუხ. 22-23.
 - გ) ქრისტეს სიმდიდრეებით ტკბობის მეშვეობით (3:8), ჩვენ ვხდებით მისი სისავსე მისი სრული გამოხატულებისათვის
 3. ქრისტეს სისავსეს, რომელიც არის მისი სხეული, აქვს ზრდა, ქრისტეს სისავსის ზრდა არის ქრისტეს სხეულის ზრდა – 4:13; 1:23.
 4. ქრისტეს სისავსეს აქვს ზრდა, და ამ ზრდას აქვს ზომა – 4:13:
 - ა) ვინაიდან ეკლესის, ქრისტეს სხეულის, ზრდა მატულობს, პავლე საუბრობს მის ზომაზე, ეს ზომა არის სრულად გაზრდილი კაცი – მუხ. 13.
 - ბ) ჩვენ მივდივართ სრულად გაზრდილი კაცისაპერ, ქრისტეს სისავსის ზრდის ზომისაკენ:
 - 1) ქრისტეს სისავსის ზრდის ზომის მიღწევა არ არის ცალკეული ადამიანებისათვის, ეს არის ერთობლივი სხეულისათვის.
 - 2) მასთან ერთად, რაც ქრისტე იზრდება ჩვენში, ჩვენ თანდათან მივაღწევთ ქრისტეს სისავსის ზრდის ზომას.
 - 3) ჩვენ უნდა ვისწრაფოთ სანამ არ მივაღწევთ ქრისტეს სისავსის ზრდის ზომას; ეს არის ჩვენი მიზანი, და ჩვენ გულმოდგინედ უნდა ვისწრაფოთ მისკენ სანამ ყველანი ერთად არ მივაღწევთ მას – ფილიპ. 3:12-14.
- II. ეკლესის ორგანული გადიდება არის ქრისტეს გადიდება მის ორგანულ სხეულში როგორც მის პატარძალში – იოანე 3:29-30ა:
- ა. ქრისტეს სისავსე არის მისი სხეული, და ქრისტეს სხეული არის მისი წყვილი, მისი პატარძალი – ეფეს. 4:12-13, 16; 5:25-27.
 - ბ. „მას, ვისაც პატარძალი ჰყავს ნეფელი... ის უნდა გადიდებეს“ – იოანე 3:29-30ა:

1. გადიდება იოანეს 3:30ა-ში არის პატარძალი 29-ე მუხლში, და პატარძალი არის ყველა ხელახლაშობილი ადამიანის ერთობლიობა.
 2. ხელახლაშობას არა მარტო მოაქვს ღვთაებრივი სიცოცხლე მორწმუნებში, ის ასევე ხდის მათ ერთობლივ პატარძლად ქრისტეს გადიდებისათვის – მუხ. 3, 5-6, 29-30ა.
 3. ქრისტე დიდება გამოსყიდული ცოდვილების ხელახლაშობით, ხდის მათ თავის პატარძლად – მუხ. 29.
- დ. იოანეს სახარების მე-3 თავი გვიჩვის ქრისტეს გადიდებას, მის გადიდებას, ვინც ლაპარაობს ღმერთის სიტყვას და ვინც იძლევა სულს უზომოდ – მუხ. 34:
1. როდესაც ვიღაც ღებულობს მის სიტყვას, მოჰყვება სული, რათა იყოს იმის სინამდვილე, რაც არის ნათქვამი.
 2. ქრისტე ადიდებს თავის თავს ღმერთის სიტყვის ლაპარაკის მეშვეობით, რათა გავრცელდეს ღმერთი და ღმერთის სულის მოცემით, რათა იყოს იმის სინამდვილე, რასაც ის ლაპარაკობს იმისათვის, რომ დაარიგოს მარადიული სიცოცხლე ადამიანებში, გახადოს ისინი ღმერთის შვილები, რათა იყვნენ ქრისტეს გადიდება; ეს გვიჩვენებს თუ როგორ ხდება ქრისტე გადიდებული ქრისტე – 6:63; 3:30ა, 34.
- დ. ქრისტეს გადიდება არის ქრისტეს გამრავლება და კვლავწარმოქმნა, ჩვენი არსების ხელახლაშობილი ნაწილი არის ქრისტეს გადიდების ნაწილი, მისი პატარძალი – მუხ. 6.
- ე. პატარძალი როგორც ქრისტეს გადიდება არის თვითონ ქრისტე, რადგან ქრისტეს სხეული – „ქრისტე“ (1 კორ. 12:12) არის ერთობლივი ქრისტე, შედგენილი ქრისტესაგან, როგორც თავისაგან და ეკლესიისაგან როგორც მისი სხეულისაგან ყველა მორწმუნებთან როგორც მის ასოებთან ერთად.